ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**№119. 11926181001**

თარიღი:**30/06/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე გურანდა ბოლქვაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის, 45-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის (ღია კონკურსი) 2026 წლის 18 ივნისის #3 საოქმო გადაწყვეტილების ***გათვალისწინებით,***

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს გურანდა ბოლქვაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, გამოსაცდელი 12 თვის ვადით, 2026 წლის 1 ივლისიდან და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1760 (ათასშვიდასსამოცი) ლარით.

2. დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი